ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №07

18 მარტი 2022 წელი
12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნათია მოდებაძე, ნინო კვიტაიშვილი და გიორგი შარაშიძე.

მოწვეული სტუმრები:

1. კახაბერ გვანცელაძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი;
2. ირაკლი თურმანიძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
3. ნინო გულბათაშვილი - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) მენეჯერი.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 02 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი N01-01220753250; 16.03.2022).

მომხსენებელი: კახაბერ გვანცელაძე

თანამდებობა: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ, ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თბილისში მყოფი უკრაინის მოქალაქეებისთვის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, კოორდინირებული თანამშრომლობით არაერთი შეღავათი დაწესდა. დედაქალაქის

მერია და საკრებულო დღეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან შეღავათს დააწესებს საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და უკრაინის მოქალაქეებს ბაღში რეგისტრაციის პროცედურებს გაუმარტივებს. წარმოდგენილი საკითხი ის პოზიტიური ცვლილებაა, რაშიც აბსოლუტური ერთობა უნდა გვქონდეს, რადგან ასეთ დროს აუცილებელია სოლიდარობა. ცვლილება ორიენტირებულია საქართველოში მყოფი უკრაინელი მოქალაქეების კეთილდღეობისა და მხარდაჭერისკენ. რუსეთის მხრიდან ჩვენი ქვეყნის განგრძობადი ოკუპაციის და სამხედრო აგრესიის პირობებში, კარგად გვესმის სოლიდარობის მნიშვნელობა და საჭიროება, სწორედ ამიტომ, მყისიერად ვახდენთ მსგავს საკითხებზე რეაგირებას და უკრაინის მოქალაქეებს, ყველაზე მძიმე ცხოვრებისეულ პერიოდში, ვთავაზობთ ყველანაირ პირობას მუნიციპალურ სერვისებზე თავისუფალი და უფასო წვდომისთვის.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორს კახაბერ გვანცელაძეს, რომლის განცხადებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №25-101 დადგენილებით დამტკიცებულ წესის მე-12 მუხლი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

1. 2022 წლის 24 თებერვლიდან უკრაინაში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში, რეგისტრაციის ელექტრონული ფორმის შევსების გარეშე რეგისტრაცია განხორციელდეს უკრაინის მოქალაქე 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების და ასევე იმ ბავშვების, რომელთაც საჯარო სკოლებში მიმდინარე სასწავლო წლის დაწყების შემდგომ მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში უსრულდებათ 6 წელი.

2. 2022 წლის 01 იანვრამდე, საქართველოში შემოსული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უკრაინის მოქალაქეები, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში რეგისტრაციას დაექვემდებარებიან, დადგენილი წესის შესაბამისად, ამ მუხლის გათვალისწინებით, დროებითი ცხოვრების უფლების, ბინადრობის ნებართვის ან/და ბინადრობის უფლების მაძიებლის სტატუსის ქონის შემთხვევაში.

3. სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში, 2022 წლის 01 იანვრიდან საქართველოში შემოსულმა უკრაინის მოქალაქეებმა, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში სწავლას დაქვემდებარებული, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უკრაინის მოქალაქეების რეგისტრაციის თხოვნით, უნდა მიმართონ ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ და უნდა წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია.

4. ამ მუხლის მიზნებისთვის/დადგენილებით დამტკიცებული წესის მიზნებისათვის, უკრაინელი მოქალაქეების მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვროს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დირექტორის ბრძანებით“.

კახაბერ გვანცელაძის განმარტებით, ცვლილება უზრუნველყოფს უკრაინის მოქალაქეების საჯარო ბაღშებში გამარტივებული წესით რეგისტრაციას, რაც

უმნიშვნელოვანესი ცვლილებაა. საქართველოს ტერიტორიაზე 2022 წლის 01 იანვრიდან შემოსულმა უკრაინის მოქალაქეებმა, აღსაზრდელების საჯარო ბაღებში რეგისტრაციის სურვილის შემთხვევაში, უნდა მიმართონ ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ და წარადგინონ მხოლოდ და მხოლოდ საზღვრის კვეთის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაბადების მოწმობა.

კახაბერ გვანცელაძის სიტყვის დასრულების შემდეგ, სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: კახაბერ ლაბუჩიძემ, ნინო კვიტაიშვილმა, ზურაბ ჩიკვილაძემ, გიორგი შარაშიძემ.

კომისიის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე დაინტერესდა, ელექტრონული რეგისტრაციის გავლის გარეშე შეძლებენ თუ არა (უკრაინის მოქალაქე) აღსაზრდელთა რეგისტრაციას, რაზეც კახაბერ გვანცელაძემ უპასუხა, რომ ყველა უცხოელი, ვინც იმყოფება საქართველოში და სურვილი აქვს აღსაზრდელის საჯარო ბაღში რეგისტრაციის, „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“ სავალდებულოდ სთხოვს ბინადრობის მოწმობას, რომელიც ხანგრძლივი და ფასიანი პროცედურაა. უკრაინის მოქალაქე ბავშვების შემთხვევაში კი ელექტრონული რეგისტრაცია არ არის სავალდებულო, მხოლოდ საზღვრის კვეთის დამადასტურებელი დოკუმენტის და დაბადების მოწმობის წარმოდგენაა საჭირო.

კომისიის წევრი, ნინო კვიტაიშვილი დაინტერესდა, დაბადების მოწმობის წარუდგენლობა იქნება თუ არა რეგისტრაციის შემაფერხებელი გარემოება. აღნიშნულზე სააგენტოს დირექტორმა განმარტა, რომ რეგისტრაციის პროცედურა მაქსიმალურად გამარტივდება, ნებისმიერი მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში აღსაზრდელის ბაღში რეგისტრაცია მოხდება დაბრკოლებების გარეშე. ნინო კვიტაიშვილი აგრეთვე დაინტერესდა, თუ როგორ შეძლებდა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო უცხოელი ბავშვებისთვის ენობრივი ბარიერის დაძლევას. კახაბერ გვანცელაძის განმარტებით, ბავშვების ჩარიცხვა მოხდება ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, იქ, სადაც რუსულენოვანი მასწავლებლები ჰყავს სააგენტოს დასაქმებული.

კომისიის წევრმა ნინო კვიტაიშვილმა ასევე კითხვით მიმართა სააგენტოს დირექტორს, გეგმავენ თუ არა კერძო ბაღებთან მოლაპარაკებების წარმოებას, რაზეც სხდომაზე განიმარტა, რომ კერძო ბაღები არ იმყოფება „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ დაქვემდებარებაში, შესაბამისად, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, მოსთხოვოს კერძო ბაღებს უფასოდ მიიღონ უკრაინის მოქალაქე აღსაზრდელები.

ნინო კვიტაიშვილის ინტერესის საგანს წარმოადგენდა, თუ რამდენად არის მზად სააგენტო, პოსტტრავმული ბავშვების მიღებისთვის, რაზეც კახაბერ გვანცელაძემ განმარტა, რომ თითოეულ ბაღს ჰყავს სერტიფიცირებული ფსიქოლოგი. სააგენტოს მხრიდან დამატებით აღინიშნა, რომ მნიშვნელოვან როლს ფსიქოლოგებთან ერთად შეასრულებენ მეთოდისტები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან, როგორც ფსიქოლოგიის კუთხით, ასევე, საღმზრდელო პროცესში.

კომისიის წევრი გიორგი შარაშიძე დაინტერესდა, საჯარო ბაღებში რეგისტრაციის საჭიროების მქონე უცხოელ აღსაზრდელთა რაოდენობაზე, რაზეც კახაბერ გვანცელაძის

განცხადებით, თბილისის გამგეობებიდან მიღებული ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის ოცამდე ბავშვი საჭიროებს რეგისტრაციას.

ნინო კვიტაიშვილის კითხვა აგრეთვე შეეხებოდა იმ შემთხვევას, როდესაც პირი შეიძლება იყოს უკრაინიდან ლტოლვილი, მაგრამ არა უკრაინის მოქალაქე; მოხდება, თუ არა მათი რეგისტრაციაც, რაზეც კახაბერ გვანცელაძემ უპასუხა, რომ ასეთ შემთხვევებში ბინადრობის მოწმობის საფუძველზე მოხდება რეგისტრაცია. ნინო კვიტაიშვილი აგრეთვე დაინტერესდა, სანამ შესაბამისი დოკუმენტები მომზადდება, შესაძლებელი იქნება, თუ არა აღსაზრდელების მიღება, რაზეც სააგენტოს დირექტორმა განაცხადა, რომ ბინადრობის უფლების მაძიებლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტიც, თუ იქნება წარმოდგენილი, ბავშვთა ბაღებში მიღება შესაძლებელი გახდება.

კომისიის წევრმა, ზურაბ ჩიკვილაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორს, კახაბერ გვანცელაძეს ამომწურავი ინფორმაციისა და გაწეული საქმიანობისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 02 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	6
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს დადგენილების ცვლილების პროექტს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა